თვით ნიშნები ეპისკოპოზის მსახურებისა, რომელიც დღეს ჩვენი ზომიერებით გენიჭება შენ თვით ეკლესის თავისაგან (ეფეს. 4, 11) და სულის წმინდისაგან (საქმე წმიდ. მოციქ. 20, 28)— და იყოს შენთვის მოსაგონებლად შენი მოვალეობისა, შენდა თანამდებობათა. ეპისკოპოსის თავსახურავი (გამ. 28, 37), განმამშვენებელი თავისა შენისა, გამოხატავს ქრისტეს ეკლის გვირგვინს, რომელმაც განანათლა თავნი ჩვენნი ჩვენი გონებით და ფიქრით. და რათა მოგაგონოს მან შენ მოვალეობა, რათა თვით დაიცო და სხვასაც ამცნო დაცვად სიწმინდესა შინა თავის აზრი და თავის განზრახვანი და შესწირონ ისინი სასიკეთოდ თავიანთი სამწყსოისა და დაიცვან თავის თავი და სამწყსო ისართაგან ბოროტისა ცხოვრების ჩაფხუტით (ეფეს. 6, 17)— ცხოვნებისადმი მზრუნველობით. ომოფორი, რომელიც შენზე დადებულ არს და იყოს შენთვის მოსაგონებლად მოვალეობისა, მზგავსად ქრისტესა, მოსძებნო ყოველი დაკარგული სულიერი ცხოვარი და მიიყვანო ზეციერ მამასთან (მათ. 18, 12—14). საკკოსმა მოგაგონოს შენ ქრისტეს განკიცხვის სამოსი, რომელმაც შეგვმოსა ჩვენ ცხოვრების და სიხარულის სამოსითა,— და სამოსითა განმართლებისათა და შენი მოვალეობა არის სიმდაბლით შეიმოსო და სხვანიც შემოსო სიმართლითა, სიმართლის ამჯარითა. ჴანაგია და ჯვარი, დაკიდებულნი შენს გულზე, და მოგაგონებდნენ შენ შენს მოვალეობას, დაუცხრომელად იტარებდე რა გულსა შინა თვისსა ჯვარცმასა. ჯვარს აცვნა ხორცი თვისი ვნებითურთ და გულის, თქმი-თურთ (გალატ. 5, 24 და ყოველის გულით მიჭბაძო სიწმიდეს და სიმდაბლეს ღვთის მშობლისასა და ესევე ასწავო სხვათაცა. მანტია ეპისკოპოსისა თავის სჯულის ფიცრებითა და წყაროებითა და მოგაგონებდეს შენ ქრისტიანული სიბრძნის მოყვარების მოვალეობას, მასწავლებლობის მოვალეობას გამოამდინარო თავის თავიდგან მდინარენი ცხოველის წყლისა— სწავლისა და მადლისა (იოან. 7, 28—39), მოვალეობას იტვირთო თვის მხარია ზედა ფრიად ძნელი მოღვაწეობა ეპისკოპოზისა, რათა შეჭკრიბო თავის მფარველობის ქვეშ სულიერ მტერთაგან შევიწროებულნი, ყველა შენი სამწყსონი, ვითარცა ფრინველი შეჭკრებს თავის ბრთების ქვეშე თავის ბღარტთა (მათ. 23, 37). კრეიალეისონი, მოცემული შენდა ხელში, და მოგაგონებდეს შენ ლოცვის მოვალეობას და მოვალეობას დაუცხრომლად იქონიო და იხმარო საცხონებლად თავისა თვისისა და ხამწყსოთა სულიერი მახვალი, რომელიც არის სიტყვა ღვთისა (ეფეს. 6, 17). სამღვდელ მთავრო კვერთხმა და მოგაგონოს შენ მოვალეობა, რათა შეიძინო შენთვის სიბრძნე გველისა, მაგრამ უგესლო. შენი ღვთის მოსაწონი ცხოვრების სახე და იქმნეს დამრიგებელი მათთვის, რომელთა გაამოს ცადეს ცოდვის წყლულება სულიერი გველისაგან, მზგავსად იმისა, როგორც მაცხოვნებელი იყო ებრაელთათვის, რომელნიც ნაგებენ იყვნენ გველთაგან, შეხედვა გამოხატული გველისა, ამაღლებულის მოსეს მიერ უდაბნოში, ხოლო მით უმეტესად ვითარ მაცხოვნებელია ყველა ჩვენთვის სარწმუნოებით შეხედვა ჯვარზე ცმელისა ყოვლად მოხერხებულის— სიტყვისა, რომელმაც

შემუსრა ჯვარითა თავი გველისა, რომელიც ატყუებდა მთელს ქვეყნიერებას (გამოც. 12, 4). და იყოს შენთვის კვერთხი ეს მოსაგონებლად შენის მოვალეობისა— და შენც შენს სიცოცხლეში დაეურდნე მას და სამწყსოსაც ასწავე დაურდნობა ყოვლად შემძლე ღვთის ძალაზე. დაეურდნობი რა ეპისკოპოსის უფლების და მადლის ამ კვერთხზე: უძლურნი სარწმუნოებასა შინა განამტკიცე სულიერად; ურჩნი და შეუპოვარნი ამხილე, დაიმორჩილე და გაასწორე; სარწმუნოების და ცხოვნების მტერნი სულიერად შემუსრე, როგორც ჭურჭელნი იგი მეკეცეთაგანი (განცხ. 2, 24).

ეხლა მიიღე ჩემგან კვერთხი ესე და ქრისტეს ჯვარის ნიშით აკურთხე წმინდა ტაძარში შენ წინაშე მდგომარე მართლ-მადიდებელი ხალხი.

საქართველოს საეკლესიოში მრავალჯერ შესრულებულა ეპისკოპოსის ხარისხზე აყვანა სხვა და სხვა პატივ-ცემულთა და ღირსთა პირთა. თვითონ ჩვენა, ამ სტრიქონების დამწერი, ღავსწრებივართ სამჯერ ხირიოტონიას აღსრულებას, მაგრამ არასოდეს და არც ერთზე არ შეგვინიშნავს ის სასიამოვნო და გასაოცარი მთელი საზოგადოების აღტაცებითი თანა გრძნობის და სიამოვნების გამოცხადება, რომელიც საზოგადოებაში ჩვენ შევნიშნეთ მ. არქიმანდრიტის გრიგორის ეპისკოპოსად კურთხევისა გამო. არ დარჩენილა, ვგონებთ, არც ერთი თავად-აზნაური, რომელთაც თავიანთი წარმომადგენლების პირით წერილებით ან ტელეგრამებით არ გამოეცხადებიოს დიდი სიხარული და მილოცვა ახლად ხელდასხმული ეპისკოპოსის გრიგოლისადმი. ჩვენ წინ გვიწყვია სამას ორმოცდა ათი მისალოცავი ტელეგრამა, რომლებიდგანაც ცხადათ იხედება საზოგადოების სიხარული და სიყვარული მის ეპისკოპოსად დანიშვნისა გამო. ვსწუხვართ, რომ უადგილობისა გამო ვერ ვბეჭდავთ ამ ტელეგრამებს ჩვენს გამოცემაში. მისალოცავი წერილების რიცხვი კიდევ უფრო მრავალია. ჭეშმარიტად ბედნიერია ის კაცი, რომელსაც მთელი საზოგადოების ამისთანა სიყვარული დაუმსახურებია, მაგრამ ეს ბედი ყველას არ ხვდება წილად, რადგან საზოგადოების ამისთანა სიყვარულის დასამსახურებლად საჭიროა კაცს ჰქონდეს ის იშვიათი მიმზიდველი ძალა, რომელიც განგებიდამ ენიჭებათ მხოლოდ მაღალ ბუნების და მშვენიერ თვისებათა მექონე გვამთ. ბედნიერია სწორეთ ის სამდვდელოებაც, რომელსაც ენიშნება ამისთანა პირი ეპისკოპოსად. საქმის ყოველი მხრივ კარგად წაყვანისა თვის აუცილებლად საჭიროა სიყვარულობითი დამოკიდებულება მეუფროსეთა და ქვეშევრდომთა შორის. ყველაზედ ნამეტნავად ეს საჭიროა არის სასულიერო წოდებაში.

ჩვენ თამამად მიულოცავთ გურია-სამეგრელოის სამდვდელოებას, რომ მათი ახალი მწყემსთ-მთავარი უხვად აღჭურვილია ყველა იმ კეთილ სათნობაებით, რომელნიც ნერგვენ სამწყსოში საერთიერთო ქრისტიანობრივს სიყვარულს, მშვენიერებას და ჭეშმარიტებას.

წერილი რედაქტორთან.

მ. რედაქტორო!

ჩემი დანიშვნისა გამო ზურია-სამეგრელოის ეპარქიის ეპისკოპოსად, მე მრავალი მოსალოცავი ტელეგრამები და წერილები მივიღე როგორც საქართველოს ყველა კუთხეებიდამ, აგრეთვე შორეული მხარეებიდგანაც, როგორც ახლო და მცნობი პირებისაგან, აგრეთვე ისეთ პირებისაგანაც, რომელთაც მე სრულებით პირადად ვერ ვიცნობ. ჩემი პირ-და-პირი მოვალეობა იყო მაშინვე უგულითადესი მადლობა შემეთვალა მომლოცველთათვის ტელეგრამებით და წერილებით ამ ჩემთვის ძვირფას მოლოცვაზე, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ის საქმეები და მზრუნვე-

ლობანი, რომლებსაც მოითხოვს ჩემი ეხლანდელი მდგომარეობა, ნებას არ მაძლევენ, რომ აღვასრულო ეს. ამიტომ გთხოვთ თქვენ, მ. რედაქტორო, მომცეთ შეძლება, რათა თქვენის პატივცემული გამოცემის საშუალებით გამოუცხადო ამ გვარ პირთა ჩემი უგულითადესი მადლობა მათი წრფელი თანაგრძნობისა და კეთილ სურვილის გამოცხადებისათვის.

გრიგორი, ეპისკოპოსი
გერია-სამეგრელოისა.

26 მარტს, 1886 წ.
ქ. თბილისი.

ოჩ კლასიანი სასწავლებლის დაარსებისა გამო დაბა საჩხერეში.

უნდა ვაღვიაროთ, რომ ზნეობის და გონების აღმამაღლებელი იარაღი სწავლა-განათლებაა. საქართველოში, სასიხაროლოდ ჩვენდა, ფრიად მიისწრაფვის ახალ-თაობა განათლებისადმი; მაგრამ, ამ მისწრაფებას სამწუხაროდ, უხვდება წინ იმისთანა გარემოებები, რომელნიც ეღობებიან ახალ-თაობას განათლების გზაზედ. ერთი ამ გარემოებათაგანი არის სასწავლებლების სიმცირე. მართებლობა ზნეობით ვალდებულია, რომ ხალხში მოფინოს სწავლა-განათლება, მაგრამ, მას თუ საზოგადოებაც არ მოეხმარა, იგი მოლად ვერ აკმაყოფილებს ამ უწმიდეს კაცობრიობის აღმამაღლებელს მიზანს. საქართველოში რომ სასწავლებლები ცოტანი არიან და სწავლის მსურველნი მრავალნი, ამაზედ ყველა დამეთანხმება, მაგრამ საზოგადოება კი ჯერ-ჯერობით ყურადღებას არ აქცევს, რომ მან მისცეს სწავლის მსურველებს შემწეობა და თავისი ხარჯით გახსნას ორიოდე სასწავლებელი (ჩვენ აქ სახეში გვყავს თავად-აზნაურობა). ჩვენში სამღვდელოება და გლეხ-კაცობა ათჯერ მეტს ხარჯამს განათლებისათვის, ვინემ თავადაზნაურობა, თუმცა ეს უკანასკნელი ნივთიერათ ბევრად წინ სდგას პირველებზედ. ავიღოთ მაგალითისათვის საჩხერის განყოფილების სამივე წოდება. თვითოეული ეკკლესიის კრებული იხდის სასულიერო სასწავლებლის სასარგებლოთ წლიურათ 20-35 მან.; გლეხ-კაცობაში თვითოეული მეკვამური იხდის 50 კაპ. სასოფლო სკოლების შესანახავად და თავად-აზნაურობა ერთ კაპეიკსაც არა, როდესაც მათთვის დიდი ხნიდამ საჭირო იყო სასწავლებლის დაარსება დაბა საჩხერეში, რადგან მათ ძლიერ შორს აქვსთ ქუთაისის და სხვა ქალაქების სასწავლებლები და ამ მიზეზით მათ მეტის-მეტათ უძნელდებათ, რომ მისცენ თავიანთ შვილებს პირველ-დაწყებითი სწავლა მაინც. ზოგიერთა პირებმა ამ ხუთმეტი წლის წინედ მოინდომეს დაეარსებიათ დაბა საჩხერეში პირველ დაწყებითი სასწავლებელი, მაგრამ მათმა ცდამ ამაოთ ჩაიარა. წარსული წლის ენკენისთვის რვას მობრძანდა დაბა საჩხერეში მათი ბრწყინვალება კავკასიის მთავარმმართველი თ. დონდუკოვ-ორსაკოვი, რომელსაც რამდენიმე პირმა მიართვა თხოვნა, რათა დაბა საჩხერეში დაეარსებიათ სასწავლებელი და მასთან მთავრობას შემწეობაც სთხოვეს. მისმა ბრწყინვალებამ ამ თხოვნას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია; სასწავლებლის დაარსების ნებაც მოუვიდა საზოგადოებას და ამ სასწავლებლის შესანახავად ყოველ წლიურათ ათასი მანეთი, მაგრამ სახლი და ადგილი სასწავლებლისთვის კი საზოგადოებამ უნდა მოიპოვოს, რაზედაც ადმინისტრაციამ მოიწვია თავადაზნაურობა, მაგრამ იგი ძლიერ გულ-გრილათ მოეკიდა ამ საქმეს. საზოგადოებამ აღირჩია კომიტეტი, რომელმაც უნდა იზრუნოს სახლის და ადგილის მოპოებისათვის, მაგრამ ჯერ არც არაფერი კომიტეტს გაურიგებია. ჩვენ ერთს საშუალებაზე მიუთითებთ ხელს კომიტეტს: განსვენებული თ. ნესტორ წერეთელი სიცოცხლეში ბევრს ეუბნებოდა, რომ იგი მისცემდა საჩხერის საზოგადოებას სახლს და ადგილს სასწავლებლისათვის, მაგრამ მას სიკვდილმა მოუსწრო ჯ თავისი აზრი ველარ მოიყვანა სისრულეში. ჩემის აზრით კომიტეტი რომ მიმართავდეს განსვენებულის მემკვიდრეებს, შეიძლება, რომ სულ მუქთად თუ არა, იაფ ფასათ მაინც დაუთმონ განსვენებულის მიერ აღთქმული სახლი და ადგილი. ერთმა პირმა მარწმუნა, რომ ერთ მემკვიდრეთაგანს კიდეც გამოუცხადებია სურვილი, რომ თავის წილს მუქთად დაუთმობს სასწავლებელს.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქუთაისის გუბერნიის არც ერთ კუთხეში ისე მძიმე ნაბიჯით არ მიდის სწავლის საქმე, როგორც საჩხერის კუთხეში. ამისთვის ზნეობით და გონებით ვალდებულია ზემო ხსენებული კომიტეტი, რომ მათდამი მინდო-

ბილი საქმე შეასრულოს და მუყაითობა გამოიჩინოს. ეხლა, თუ საქმე წაგვიხდა, დიდი ხანი გაირბენს, რომ საჩხერეში სასწავლებელი ვერ გავხსნათ.

მართალია, რომ იმისთანა საქმე, როგორიც არის სწავლა-განათლების საქმე, მოითხოვს ნივთიერ მსხვერპლს, მაგრამ ამ შემთხვევაში უკან დახევა გასაკიცხი იქნება, მით უმეტეს, რომ მართებლობაც შემწეობას გვაძლევს ამ საქმეში.

ითხვისის ეკლესიის მრევლის მღვ. ი. წერეთელი.

ცოტ-ცოტა ყველაფერზედ.

(გაგრძელება *).

არ არის არცა იოტის ოდენა საეჭვო, რომ საქართველოს ხელმწიფეების დროსა ჩერქეზები, ჩაჩნები, ლეკიანები და ოსები, აქეთ მცხოვრებელნი ყოფილან ქრისტიანები.

ჰკითხეთ ჩაჩანსა ან ლეკიანსა (ინგუშსა), რომელთაც ქართული არ იციან, როგორ არის იმათს ენაზედ:

პოსტ . .	მოგვგებს:	მარხა, მარხ.
პოსკრესენიე	—	კირა, კირიდსა.
ნედელია .	—	კირა.
პონედელნიკ	—	ოარშაოთ, ოდიდურად
ეტორნიკ .	—	შინ არა. [ოარშაოთ.
პიატნიცა .	—	პაარსკა, პარასკ.
სუბბოტა .	—	შაბათ, შოთ.
სვიაშჩენნიკ .	—	მოზღვარ.
ქურიცა . .	—	ქუათამ.
როტ . . .	—	ბაგა, ბაგიე.
დერევო . .	—	ხენ, ხე.
ქასა (ცელი)	—	მანგალ (ნამგალი).
შაპკა . . .	—	ქუი.
ად	—	ჯუოკიხიტე, ჯოჯოხეთ.

ჯერ ამ ორიოდე სიტყვიდგანაც სჩანს ცხადად ამათი უწინდელი სარწმუნოება. ვერ იპოვნით ისეთს ჩერქეზის სოფელსა, რომ არ იყვეს რამდენიმე კომლი კაცი გვარად: შოგონოვი. ყველანი ამბობენ, რომ ესენი არიან ჩერქეზის მღვდლების ჩამომავალნი. მართლადაც, ჩერქეზებსა ჰქონიათ ქრისტეს სარწმუნოება მიღებული საქართველოდგან ოსების საშუალებითა. შოგენისა ანუ ჩერქეზული მღვდლის სახელი წარმოდგება ოსური სიტყვიდგან. ოსები ღვდელს ან მღვდელ-მონაზონს ეძახიან შაუჯინ (ე. ი. შავით მოსილი) ანუ საუჯინ, აქედგან საუგინ, შაუგინ შუგინ, შოგენ, შოგენუყო, შოგენოვ (შოგენაშვილი).

ქრისტიანობის ნიშანი საჩერქეზოში (ყაბარდოში) სხვაც ბევრია. რამდენიმე წლის წინად ყაბარდოში, მაღალი მთის წვერზე, რომელსაც ყურათას ეძახიან იპოვნეს კარგა მოზდილი ვერცხლის ჯვარი და გაგზავნეს თბილისის მუზეუმში. ამ ორი თვის წინად უპოვნიათ კიდევ, სხვა ნივთებს შორის, ჯვარი და წარუდგენიათ მთავრობისათვისა.

ყველასაგან პატივ-ცემული, აწ მიცვალებული, ქაისინ ანზოროვი, ჩერქეზთ აზნაურიშვილი, იტყოდა ხოლმე, რომ უკანასკნელი ჩერქეზთაგანი ქრისტიანი მოკვდაო 1827 წ.

მართალია, თუ არა ეს, ვერ დაგიმტკიცებთ და ამბობენ, რომ რონაზრანის ლლიღვებმა ქრისტეს სარწმუნოება დააგდეს და მიიღეს მაჰმადის სჯული 1848 წ. უკანასკნელი მღვდელი ნაზრანში ყოფილა ანციევი. აქაურების სიტყვითა ღვდელი ანციევის შინ არა ყოფნის დროს ლლიღვებმა თურმე მოსტაცეს ცოლ-შვილი და შამილს მიჰგვარეს ტყვეთა და ამ დღიდგან დამკვიდრდა აქა მაჰმადიანობა.

ეხლაც ბევრი ლლიღვია, რომელნიც იძახიან, რომ ძალიან კარგად გვახსოვსო ის დრო, როდესაც ღორის ხორცს ისე ვსჭამდითო, როგორც ეხლა ცხვრის ხორცსაო.

რადგანაც ამ ქვეყნებში მკვიდრი შენობა არ იციან, ამის მიზეზით არსად არ ეტყობა უწინდელი საყდრები. აქ სახლები აქვსთ წნელისა, როგორც თქვენში საბრძლები, მხოლოდ გალესენ ხოლმე აყალო მიწითა სითბოს გულისათვისა. ცხადია, რომ ამისთანა შენობის დაქცევის შემდგომ, რა დაეტყობა.

ყველაზედ მკვიდრი ქრისტიანები აქეთ მხარეზე იყვნენ ოსები, მაგრამ ბევრმა მათგანმაც მიიღეს მაჰმადიანობა. რომელს სოფლებშიაც იყვნენ ოსები კეთილ-შობილნი: ალდარები, ბადელიძენი, სარგისიძენი, ბიგუაძენი, ის სოფლები გადუდგნენ ქრისტიანობის სჯულსა; მაგალითად სოფლები: ბენსლანი, ზილგი, ქარჯინა, ზამანყული, შენაევისა, ლონიფარსი, ახალ მაჰმადიანთა სოფელი, ქორა და ლურდური. სხვანი კი როგორლაც მოარჩინეს. ლლიღვთა-

*) იხ. «მწყემსის» № 9,

განი მხოლოდ ერთი კაცის მეტი არავინ არის ქრისტიანი. შესანიშნავი ეს არის, რომ შამილის დროს არა ყოფილან მაჰმადის სჯულზე ისე მამჭირნე როგორც ამ უკანასკნელს დროში შეიქმნენ. ჯერ ამ თხუთმეტი წლის წინად ჩაჩნები და ლეზგები მაგდენს არაფერს დასდევდნენ მაჰმადიანობასა; ამათ მოსწონდათ მხოლოდ ზოგიერთი თავისუფლება, რომელსაც ხედავდნენ უზრდელი მოლლებისაგან, მოსწონდათ მრავალ-ცოლობა, ადვილად ცოლქმრობის მოშლა, უმარხულობა და სხვა. იშვიათად თუ სადმე ნახავდით მეჩითებსა; ლოცულობდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ ყველას დაენახა სჯულზე მომჭიმნეობა. მაგრამ ამ ბოლოს დროს მაჰმადიანობა ძალიან მკვიდრდება. ოქმები გათავდა მაჰმადის სჯულის დასამკვიდრებლათა. თითქმის ყოველ სოფელში, სადაც უწინ არ ენახათ, გადმოსჭიმეს დიდ-როვანი და კარგი მეჩითები. სოფლებს მაიურტუპში, შალში, ურუსმარტანში, ზუდერმესში თითო მეჩეთი დაუჯდათ ათას-ათას თუმნათა.

აგრეთვე საჩერქეზოში და ოსის სოფლებში მინარებმა (საიდგანაც მოლლა ყვირის) ამოყვეს თავი —პარასკეობით (ჯუმა) ხალხითა გაიტენება ხოლმე მეჩეთები. მაშინ, როდესაც ჩვენი გლეხი კაცები კვირაობით დუქნის კარებში არიან ამოტუზულნი, აქ პარასკეობით მაჰმადს ეგედრებიან. ვერც ერთს სოფელში აქ სასმელების დუქანს ვერ ნახამთ.

ჩაივლით საჩაჩნოში და ნახამთ გზის პირებზე, წყაროების მახლობლად, მოქსოვილს საბუდრებსა. რა არის ეს, ჰკითხამ ჩაჩანს. ეს საბუდრები არის სალოცავი ადგილი იმ ჩაჩნებისა, რომელნიც ადგანან ზიკრის წესსა (ზიკარლო), შემორაგვილი ადგილი იმისათვის აქვსთ, რომ იმ ადგილს, სადაც ისინი ლოცულობენ არ მოხვდეს ან პირუტყვის ფეხი ან ურწმუნო და უწმიდური ხალხისა.

მაინც და მაინც არ არის დასაჯერი, რომ ამათს სარწმუნოებასაც ძალიან ღრმად ჰქონდეს გადგმული ფესვები. ამისათვის, რომ ამათს ენაზედ არ არის ნათარგმნი ის წიგნები, რომელშიაც არის აღწერილი სჯულის საფუძველი. თითო ოროლა არაბულს ენაზედ ნათქვამი ლოცვა დასწავლილი ზეპირათა, საიდგანაც მეათედიც არ ესმის, არ წარმოადგენს სარწმუნოების სარძიკველსა.

ჩვენ რომ დაუკვირდეთ, ეს არის გასაოცარი, რომ ქართველი მღვდლებისაგან, რომ თავისი შრომა, მოხმარებული ამ ველური ხალხის მორჯულებაზე, როგორ დააბოლავეს ისე უსაფუძვლოდ. რატომ ის მაინც არ წარმოიდგინეს, რომ საქართველოში წირვა-ლოცვა რო გაჩაღებულიყო ბერძნულს ენაზე და არა ქართულზედა, რითი დაბოლოვდებოდა ესა. მაშინვე უნდა მიმხვდარიყვნენ და გადმოეთარგმნათ წიგნები, ლოცვები, წირვის წესი და სხვ. ამათ ენაზედა და მაშინ სრულებით სხვა იქმნებოდა. რუსებს რომ არ გადმოეთარგმნათ საღმრთო წერილი თავიანთ ენაზედა, უეჭველია, რომ 200 წლის მანგოლების მფლობელობის შემდგომ რუსებს დავიწყდებოდათ კიდეც, რომ ოდესმე ქრისტიანები ყოფილან.

ოსებთაგანიცა ამავე მიზეზით ძალიან ადვილად მიიქცევენ მაჰმადის სარწმუნოებაზედა. მხოლოდ მთაში მცხოვრებნი ოსები, რომელთაც ჩერქეზები და ჩაჩნები არა ხვდებიან, დარჩნენ ქრისტეს სარწმუნოებაზედა.—მაგრამ, როგორც უცოდინარნი და უმეცარნი, არც ესენი არიან მკვიდრნი ამ სარწმუნოებაზედა. ზოგიერთი მოვლინება დიგორში ძალიან მკაფიოდ გვიმტკიცებს ამასა. რათა? იმავე მიზეზით, რომ წიგნი ამათ არ იციან, კითხვა ამათ არ იციან; წერა ამათ არ გააჩნიათ; ამათ ენაზედ არ არის გადმოთარგმნილი საღმრთო წერილი; მაშასადამე თავის ენაზედ არ შეუძლიანთ პატარაობითვე ლოცვას შეეჩვიონ. თუმცა ერთი წილი წირვის წესისა აქვსთ გადმოთარგმნილი, მაგრამ ამასაც თურმე იშვიათად ხმარობენ ეკკლესიებში და სლავიანურისას ესენი რას გაიგებენ.

დედა კაცი არის სარწმუნოების დამამკვიდრებელი და ღვთის სიყვარულის ჩამნერგავი. დედა-კაცებმა ამათში თავის სამშობლო ენის სრულებით არა იცინ რა, მაშასადამე წირვა-ლოცვაზედ, რომ მიეიდნენ, რა უნდა გაიგონ.

ერთს მღვდელსა ვკითხე რატო ოსურათ არა სწირამთ ხოლმე მეთქი? იმან მიპასუხა, რომ ჯერ ერთი ესაო, რომ მთელი წირვის წესი არა გვაქვსო ნათარგმნი ოსურს ენაზედაო; მეორე ისაო, რომ მ[illegible] რუსული და ქართული წირვა, თუ არ ვიეარჯიშე[illegible] დამავიწყდებაო და საქართველოში რო გადამიყვანონო, მაშინ რაღა ვქნაო.

ასე და ამ ნაირად, როგორც მაჰმადიანნი, ისე ქრისტიანენი ამ ჩვენს მხარეს ერთ ნაირად და ერთ[illegible] მდგომარეობაში არიან. მაშასადამე გარეგანს გარე[illegible] მოებაზედ არის ამათი საქმე დამოკიდებული...

ჩვენ ასე გვგონია, რომ საქართველოში მაინ[illegible] მოძღვრებმა სარგოიანად უნდა მოიხმარონ ახალ[illegible] კანონი ეკკლესიების სასწავლებლების გამართვაზედ

ულმაწვილი-თავობა შეჰკრიბონ და ასწავლონ წერა და კითხვა და ამასთან მისცენ დაბეჭდილი საღმრთო წერილი საკითხავად და შეაჩვიონ პატარაობითვე გალობასა ეკკლესიაში. აი წამალი რევენობის მოსპობისა და ქრისტეს სარწმუნოების დამკვიდრებისა.

—

ამას წინეთ ვიღასაც მოჰგონებოდა და წარმოეთქვა ის ამბავი, თუ შამილმა როგორ დასაჯა ჯერ თავისი მშობელი დედა და მერე თავისი თავი ღვთის ღალატისათვისა. ამ ნაირი მოქმედება ხალხს მართალია, დროებით გულს უმაგრებდა და თითქო სარწმუნოებაზედაც მტკიცეთ ამყოფებდა, მაგრამ, რადგანაც აქ მხოლოდ შიში მოქმედებდა და არა ხალხის რწმუნება, ამისათვის გუნებაზედ ძალიან მალე შემოეცალნენ ყველანი და იმისი დაწყობილი საქმე ბევრი სულ ამოიფხრო.

შარშან შემთხვევით ვიყავი იქა, სადაც იმამ შამილი ერთს დროს სუფევდა და სადაც ხალხის შესაშინებლად თავი გაიწკეპლა. ამ ადგილსა ჰქვიან ვედენო. ამისთანა მშვენიერს ადგილსა იშვიათად შეხვდება ადამიანი. ხულხულაუს ხეობა ერსენოის ზემოდგან შევიწროებული ტყიანი მთებითა.

ზემოთ ამ წყლის სათავეში გაგანიერდება და წარმოგვიდგენს სწორე ვაკე მინდორსა, რომელიც შეადგენს 650 დესეტინას, როგორც აქაურები ამბობენ. ამ მინდორს გარშემოუვლის ხევები ანკარა წყლიანი, საშინელი დახრამული ნაპირებით, ასე რომ ეს მინდორი ბუნებით გამაგრებული ციხესავით არის. უწინდელს დროში ალბათ ასასველელები ექმნებოდა აქა-იქა, სადაც ადგა გუშაგი. სამხრეთისაკენ არის ამართული ორი მთა, ტყუპად, რომელთაც ჰქვიათ ჩერმოი ლამ. ეს ველი შეადგენს ამ მთების კალთასა. ბარშემო საითაც მიიხედამ ამ ველს არტყია დაბალი ტყიანი მთები და, აქა-იქ გამოიყურებიან ჩაჩნის სოფლები.—ამ ველის კუნჭულში, იქ სადაც ჩერმოი-ლამის მთა არის აყუდებული და სადაც ხულხულაუს მშვენიერი წმიდა წყალი გამოდის, ზედ ფლატის პირზედ მდგარა შამილი.

აქ შემემთხვა მე ყოფნა 8 ს მკათათვესა და მომაგონდა, რომ 31 წლის წინად, მგონია 4 ს მკათათვესა (თუ მეხსიერებამ არ მიმტყუნა), დაეცა შამილი წინანდალსა და ჩვენი მარად სახსოვარი მგოსანი ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილის ცოლშვილი წაიყვანა ტყვეთა.

31 წელიწადი ადამიანის მეხსიერებისათვის არ არის დიდი ხანი, მაგრამ ახლანდელი აჩგარებული ცხოვრებისათვის, როდესაც ამბავი მიაქვს და მოაქვს მართულსა წლის სავალზედ 10 წამშია, და სადაც ათი დღის სავალს ორთქლის შემწეობით გაირბენს ადამიანი ერთ დღეშია, ეს ხანი დიდი ვადა გამოდის.

რას იფიქრებდა შამილი, რომ 31 წელიწადს შემდგომ იქა, სადაც ის ბატონად იჯდა, იქა სადაც იმისი შიშით ფრინველი ფრთას ვერ მოიქნევდა; იქა, სადაც დაჭრილი თავები მოჰქონდათ საზამთროსავითა და მარჯვენა ხელები სტაფილოსავითა და თითო კაცის თავში და თითო მარჯვენა ხელში მამტანნი მიიღებდნენ საჩუქრად სამ-სამ მანეთსა, ამ ჟამად გამართამდენ ტელეგრაფის სტანციასა და შეჰქმნიდნენ საუბარსა ინდოელებთან და ინგლისელებთან.

31 წელიწადი მართლადაც და რა ხანია; ვის არ ახსოვს ის დრო, როდესაცა ჩვენ გვებრძოდნენ ოსმალები, ფრანცუზები და ინგლისელები? ვის არ ახსოვს ის დრო, როდესაც შამილმა დააგდო მოზდოკისა და ყიზლარის აკლების ხმა და ქახეთს კი დაეცა. ჩვენ აქ მოველოდით უწინდებულად შამილის დაცემას და შემდგომ კი შევიტყვეთ, რომ 30 ათაასის კაცითა ქახეთს დასცემოდა. მაშინდელი წაყვანილი ტყვეები ღვთის მადლით ეხლაც ცოცხლები იმყოფებიან.

ეს ამბავი მომაგონდა და ვსთხოვე ჩემს ახალს გაცნობილ ჩაჩნებსა, რომ ეპოვნათ ვინმე ისეთი კაცი, რომელსაცა თვითონ თავის თვალით ენახოს შამილის აქ ცხოვრება და ჩვენ ტყვეების აქ ყოფნა. რასაკვირველია, ამისი მნახავნი და მცოდნენი ბევრნი გამოჩდნენ. ბამამყვანენ და მივედით იმ ადგილასა, სადაც შამილსა ჰქონდა მუხის მესერი შემოვლებული და შიგ სახლები.

მაგრამ სადღა რა არის ეხლა! იმის სასახლის მაგიერად ამ ჟამად დაგვხდა მშვენიერი ულვაშ გამოღებული სიმინდი. ისეთი მაღალი სიმინდი, რომ ცხენზედ მსხდომნი ერთმანეთს ვერა ვხედავდით. უეჭველია, რომ ეს უფრო სასარგებლო არის შამილის ბარბაროსობაზე, მაგრამ აქ ადამიანმა უნდა წარმოიდგინოს ისა, თუ რა ფუჭია ადამიანის ცხოვრება, სიმდიდრე, სიმხნე, ძალა და დიდება. რამდენი ადამიანის სისხლით არის მორწყული ეს ადგილი და გასაოცარია, რომ კარგი სიმინდი მოვიდეს აქა...

აქედგან დამისახელეს ერთი ჩაჩნის სოფელი, სადაც ეხლაც სცხოვრებს შამილის ნაიბი სახელად

ზამი, რომელსაცა წამოეყვანა 40 კაცი ტყვედ რუსები, ოცისათვის მოეჭრა თავი და თვითო ტყვესათვის მიეცა ხელში თითო თავი და ისე მოერთმია ოცი მოჭრილი თავი შამილიანთვისა.

მერე რა დარჩა ამ შეუბრალებლობის მოქმედს სახსოვარი? სრულებით არაფერი კარგი. იმ ადგილას, სადაც მდგარა შამილი, არის დარჩენილი პატარა ორმო, რომელშიაც თურმე შამილის ცხენებს აბანავებდენ. სხვა ვერაფერი ვერ მოაგონებს მნახველს, რომ აქა ოდესმე მდგარიყვეს ვინმე მცირე არამც თუ დაღესტნისა და ჩაჩნის იმამი, შამილი, რომელსაც მაღლა მაჰმადი მიაჩნდა და ძირს მხოლოდ თავის თავი.

სწორეთ შამილის ნადგომს პირ-და-პირა ორთა ხევს შუა მდებარებს პატარა კარგი ველი, იქნება 156 დღისა, ხევსა და ხევს შუა. ეს პატარა ველი უჩუქებიათ ერთი ლეკისათვისა, რომელიც ვითომ ყოფილა შამილის მწერალი. ამასაც შამილი ჰქვიან, გვარად არის ეარატაი.

იმაში შამილის სადგომიდგან ვერსტ-ნახევარზედ ამ ჟამად არის აშენებული ბალავანი და შიგა დგას ერთი ბატალიონი სალდათი, ოლქის სასამართლო, ხალხის სამსჯავრო, ტელეგრაფის სტანცია, ფოსტის სტანცია და სხვ. აქედგან ერსენოის ციხემდინ ხულხულაუს ხეობაში კარდი გზა-ტკეცილია გაკეთებული და სასიამოვნო სასიარულო.

—

ჩაჩნებმა ძალიან სარგოიანათ მოიხმარეს ამ უკანასკნელი დროების მშვიდობიანობით ცხოვრება. ზოგიერთებმა მიჰყვეს ხელი ვაჭრობასა. დამართეს დუქნები, სადაც ჰყიდიან ფართალ-ფურთალსა. შალი არის მრავალ დუქნებიანი სოფელი; ურუსმარტინი და ეუსტარ-ბარდოი აგრეთვე კარგად ვაჭრობენ. თვითონ ჩაჩნები დადიან ყოველ წლივ მაკარიის იარმუკაში და მოაქვსთ მრავალი საქონელი.—ჩერქეზებში კი ვაჭარი კაცი ძალიან იშვიათი არის. ეაენი მისდევენ უფრო ცხენისა და საქონლის გაშენებასა. ხვნენ და თესვენ მხოლოდ თავის საჭიროებისათვის, იმასაც მხოლოდ ფეტვსა, რომლიდგანაც აკეთებენ ღომსა, რომელსაც ესენი ეძახიან ბასტასა. ჩაჩნები და ინგუშები სიმინდს უფრო ეტანებიან. ეჭვალს აცხობენ ჩვენებურად.

სწავლაზედ კი ყველანი ძალიან ჩამორჩენილები არიან. თავიანთი სასწავლებლები არა აქვსთ, სამეჩეთოს გარდა, მთავრობისაგან გამართული სასწავლებლები ხომ სად დაიტევს ამათა და სამეჩეთოებში კი სწავლობენ არაბულსა, და ყურანის კითხვასა ისიც რამდენიმე ბავშვი. ან ეს სწავლა რა სწავლაა. როდესაც მეჩეთებში სწავლას შეასრულებენ, ამათ ისე იციან არაბული, როგორც ზოგიერთმა გიმნაზიის მოწაფემ ლათინური. ამ ნაირ სწავლას სარგებლობა არ შეუძლიან.—მაინც და მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ოსები და ლლიღვები უფრო ეტანებიან რუსულს სასწავლებელსა, ვიდრე ჩაჩნები, ჩერქეზები, ყუმიკები და სხვ., ვინც კი შეასრულებს ხოლმე სწავლასა, კარგები გამოდიან. აქამდისინ სამხედრო სამსახურში ბევრნი იყვნენ აქაური მთის ხალხნი, მაგრამ ამ ჟამად ბევრი სწავლა უნდა იქაც და ამისათვის რიცხვი სამხედრო სამსახურში შემსვლელებისა, რასაკვირველია, მოიკლებს.

ახალი ამბები და შენიშვნები.

25 ამ მარტს ორ საათზე ექსარხოსის სახლში იყო გამართული სადილი, სადაც ახლად ნაკურთხი ეპისკოპოსისაგან იყოვნენ მიწვეულნი მთავარ მართებელი თავადი დონდუკოვ-ყორსაკოვი, ყავკასიის სამასწავლებლო მზრუნველი ვ. პ. იანოვსკი და სხვა მრავალი წარჩინებულნი პირნი როგორც საერო წოდებისა, აგრეთვე სამღვდელოთაგანნი და ყველა სტუმრები დიდის სიამოვნების და პატივის-ცემის შთაბეჭდილებით გამოეთხოვენ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს საქართველოს ექსარხოსს და ახლად ნაკურთხ ეპისკოპოსს ბრიგოლის ექვსი საათის ნახევარზე.

***

სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი ბ. ს. ყიფიანი გვწერს, რომ დაბა ძველ სენაკში ეს ორი თვეა ყვავილი მუსრს ადენს აქაურს მცხოვრებლებსო. ამ სენმა მით უფრო გაიდგა ფეხი, რომ ყვავილით მიცვალებულებს თვით შუა დაბაში, ორი (სააზნაურო და საგლეხო) სასწავლებელთ შორის ეკკლესიის გალავანში ასაფლავებენო.

ამ გარემოებამ გვაიძულა, და, ძუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მზრუნველ კომიტეტის განჩინების თანახმად სასწავლებელი დავხურეთ და ყმაწვილები დავითხოვეთ 12-ს მარტს, ავად-მყოფობის გამოკვეთამდისო.

***

მღვ. იოსებ ციცქიშვილისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოოთ ადგილი მისცეთ ამ მცირე შენიშვნას თქვენს პატივცემულს გაზეთს «მწყემს»-ში.

წასრულის ჩუპე წლის «მწყემსი»-ს მეოცე ნომერში წავიკითხე მღვდლის არდიშვილის წერილი, რომელიც მოგვითხრობს შემდეგს: «ივლისის 28-ს მე მივეცი მოწმობა ჩემს სამრევლოთაგანს, ყმას პავლე პეტრეს ძეს ბოლოჩაძეს, რომელიც წავიდა 30 ვერსტის მანძილზე და გამოეცხადა სოფლის ხუნევის ეკკლესიის მღვდელს, იოსებ ციცქიშვილს, მაგრამ ხსენებულმა მღვდელმა მას არ დაწერა ჯვარი».

მე ძალიან გაკვირვებული ვარ, თუ როგორ მოუვიდა ამისთანა შეცდომა მამა არდიშვილსა. მ. არდიშვილო, მე არ გახლავარ ხუნევის ეკკლესიის მღვდელი, და არც როდისმე დროებით ვყოფილვარ ამ სოფელში მღვდლად. იმ ბოლოჩაძეს სრულებითაც არ ვიცნობ და არც თქვენგან გამოგზავნილი მოწმობა მინახავს თვალით. მე გახლავარ ს. ვერტყვილის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი».

ცოფიანის ნამლობა.

(დასასრული. *)

საქმიო ნაწილის წარმოძადგენელებიც პასტერამდის, როგორცა სჩანს, მეცადინობდნენ გამოენახათ საშუალება ამ საზარელი ავათ-მყოფობის წინააღმდეგ. ჩვენ ვრცლად მოვიხსენებთ იმა საშუალებათა, რომელნიც გამონახა დოქტორმა ნაალიმ.

დოქტორმა ნაალიმ დაწვრილებით შეისწავლა სხვადა-სხვა შემთხვევები ცოფისა, რომელნიც მცხადდებოდნენ უკანასკნელ წლების საქმიო დრო-გამოშვებით ლიტერატურაში ან მიეცა იმ დასკვნამდე, რომ საუკეთესო საშუალებანი არიან შემდეგი: 1) თათრის ბანო, რომლისგან უფრო ბევრი ცოფით ავათ-მყოფები იღებდნენ შემწეობას, ვინემ უველა სხვა საშუალებათაგან. 2) Jaborandi ანუ пилокопинъ, რომელიც უფრო მაღე განდევნის ხაშმს ღრძილებიდგან.

ოთახის ჭაერის გავსება დამშალი ორთქლით, მაგალ. იოდით, ეიკალიპტოს ზეთით იმ მიზნით, რომ გაიდევნოს შხამი, რომელიც დადის მთელს ტანში; 4) კანს და ხორცს შუა მორთვის შესხმა; 5) ტანში შეშვება წყლის საკმაო რიცხვისა კლისტირებით, ხოლო მუცელში ბალნის მზგავსი სუბიას ტრუკარით. 6) უნდა გაუჩინო ავათ მყოფის გონებას ან ძარღვებს რამე სამუშაო. 7) თუ უველა სხვა საშუალებანი არ გაძოდგებიან, მაშინ უნდა ხმარებულ იქმნეს ხორცს ან კანს შუა შესხმა კურარესი. ყურნალის «ბუნება ან ნადირობა» იმ სტატიაში, რომელშიაც მოხსენებული იყო ცოფი ან რომელიც სტატია, დაბეჭდილი იყო 1880 წელში (№ 1), აგრეთვე ნაჩვენებია ცოფის წინააღმდეგ ხორცს და კანს შუა შესხმა უკანასკნელისა. ეს ძლიერ მოქმედებს, მაგრამ ხაშმიანი ნივთიერებაა, რომელსაც შობენ ხამხრეთ ამერიკის გარეული ხალსები შვიდების მოსაწამლავად განსაკურთებით მტენარისაგან «strychnos toif era». ყურნალის სიტყვით, ერთ თორმეტი წლის ქალს, რომელიც დაბენილი იყო ცოფიანი ძაღლისაგან ან რომელიც უკვე გატოფიანდა, შვიდჯერ გაუკეთეს ხორცს ან კანს შუა შესხმა კურარესი, 190 ბილიგრამი $5^1/_2$ საათის განმავლობაში. ამ საშვალებამ გამოიწვია მოწამლის ნიშნები, მაგრამ ისინი განქრენ, როცა ხმარებულ იქმნა არა ბუნებრივი შესუნთქვა. ორი დღის ან ღამის შემდეგ ცოფის ნიშნები განახლდენ; უქნეს შესხმა 30 ბილიგრ. კურარიესი. მაშინ ნიშნები განქრენ.

ამ მრავალ რიცხოვან საშუალებითგან, რომელიც ჩვენ აქ მოვიუვანეთ, ადვილად შეიძლება გამოვიუვანოთ შემდეგი სასარგებლო დასკვნა: ნამდვილი საშუალება ცოფის მოსასპობლად ან მისგან მორჩენისათვის არის ლორწკის საკმაო რიცხვის ან ოფლის წამოდენა. ის საშუალება უფრო უკეთ აღწევს მიზანს, რომლის საშუალებითაც წარმოდინდება უფრო ბევრი ლორწკი. საუურველია, რომ გამოტდიდნენ ამ საშუალებათ ცოფიან ცხოველების მოსარჩენად.

თუ გამოსადეგი იქმნა რომელიმე აქ ნაჩვენები საშუალებანი, ეს ძალიან კარგი იქნება, რადგანაც ამ საშუალებათა მოპოვება ან ხმარება უველას შეეძლება. folia iaborandi მხოლოდ 1874 წელში იყო გამოგზავ-

*) იხილე «მწყემსი», № 8.

ნილი ᲨᲣᲠᲜᲐᲛᲑᲣᲠᲒᲝᲡᲐᲒᲐᲜ (ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲓᲐᲜ). ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ. თუმცა ეს საშუალება დიდი ხანი არ არის, რაც ᲐᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ, მაგრამ მან დაბადა ᲒᲠᲪᲔᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. folia Jaborandi, როგორც ნასწავლთა გამოკვლევამ გვიჩვენა,—ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲗᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘᲐ. 1875 წ. რამდენიმე ნასწავლებთან ერთად ამ თურცლების თავი ცნობილ იქმნა როგორც წამალი, რომელიც სასელ-წოდებულ იქმნა ᲞᲘᲚᲝᲙᲐᲠᲞᲘᲜᲝᲚ, რომელიც შეხედულებით წაგავს იმ ნივთიერებას, რომელსაც აქვს მშვენიერი სენი ᲚᲙᲐᲘ ᲒᲔᲛᲝ. ᲞᲘᲚᲝᲙᲐᲠᲞᲘᲣᲜᲘ შვილის ლორწკის ᲚᲝᲗᲚᲘᲡ მოსაკვანად. ᲞᲘᲚᲝᲙᲐᲠᲞᲘᲜᲘᲡ ᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ საუმჯობესოა, ვინემ iaborandi, მისთვის რომ ის აძლევს ოთლს ავათ-მყოფს ᲚᲘ სხვ. ნაირად არ აწუხებს მას ე. ი. ᲞᲘᲠᲘᲡ არ ასაქმებს, გულს არ ურევს, თავბრუს არ უსხამს ᲚᲘ სხ.), რომლებიც ძალიან ხშირად მოსდევენ ფოთლების გამოხარშულ წვენს. «ᲤᲠᲐᲜᲒᲘᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲠᲐᲑᲘᲣᲢᲝᲡᲘ, შენიშვნის 174 გვერ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ.

Ს. ᲒᲝᲠᲓᲡ. ᲕᲠ. Ჩ—ᲫᲔᲡ. ᲩᲕᲔᲜ თითო ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲖᲔ რომ სამ სამი კაპეიკი მოგვცენ, მაშინაც ვერ დავბეჭდავთ იმისთანა საუბრებს, როგორებშიაც თქვენ ფულს თხოულობთ!..

Ქ. თᲨ—Ს. Ნ. Ც—Ს. თქვენი მონაწერი ამბავი, რაღაც საეჭვო არის და ამიტომ ვერ ვბეჭდავთ.

Ს. Ш—Ს. ᲕᲝᲜ. Ш. Г. წილს ვიღა დაეძებს, შედალოცვილო! ᲐᲡᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, რომ სულ საჭირონი არ არიანო...

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐᲘᲐᲜ მღვ. დ. ᲓᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ გამოცემული წიგნები:

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ: ᲒᲠᲘᲥᲣᲠᲝᲕᲘᲡ წიგნისმაღაზიაში.
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ: ᲫᲛ. ᲭᲘᲚᲐᲫᲔᲑᲘᲡ წიგნის მაღაზიაში.
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ: ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲜᲐᲛᲚᲘᲡ-ᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲧᲝᲑᲨᲘ და
Д. ᲮᲝᲜᲨᲘ: ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ წიგნის მაღაზიაში.

ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲝᲑᲠ:

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲣᲤᲐᲡᲝᲗ—ᲪᲮᲠᲐ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲝᲪᲕᲐᲜᲘ,

ᲤᲐᲡᲘ ᲣᲤᲐᲡᲝᲗ 30 Კ. და ᲙᲐᲠᲒᲘ ᲣᲤᲘᲗ 45 Კ.

ᲡᲐᲮᲔᲚ-ᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲬᲘ�გᲜᲘ,

მღვდელთმთავის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო

ᲤᲐᲡᲘ ᲣᲤᲘᲗ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲙᲝᲜᲡᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲗᲐ ᲬᲔᲡᲓᲔ ᲒᲣᲚᲔᲑᲐ, ᲤᲐᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲐᲠᲐᲒᲐᲓᲘᲜᲘ,

ᲤᲐᲡᲘ ᲣᲤᲘᲗ ᲔᲠᲗᲐ ᲛᲐᲜ.

ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲡᲐᲜᲗᲚᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲨᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲒᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲚᲛᲠᲗᲝ ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ᲝᲤᲘᲪ. ᲜᲐᲬᲘᲚᲘ: მთავრობის განკარგულებანი.—ᲐᲠᲐ ᲝᲤ. ᲪᲣᲓᲘ ᲓᲠᲝ ᲓᲐᲒᲕᲘᲓᲒᲐ და რა ზომები უნდა ვიხმაროთ ხალხში ზნეობის ასამაღლებლად.—ᲐᲠᲥᲘᲛᲐᲜᲓᲠᲘᲢᲘᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲐᲓ ᲙᲣᲠᲗᲮᲔᲕᲐ.—წერილი რედაქტორთან.—ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲓᲐᲛ.—ᲪᲝᲢ-ᲪᲝᲢᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ.—ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ.—ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

Дозв. цензурою Кутаисъ, 30 Марта 1886 г.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ᲓᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ.

მსწრაფლმბეჭდავი ᲖᲔᲓᲒᲘᲜᲘᲫᲘᲡ Დ ᲞᲔᲠᲐᲫᲘᲡ.